პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 37-ე წელი
№ 238 (10632)

ხუთშაბათი, 11 ოქტომბერი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს (1-ლი გვერდი).

შვეიცარიის შრომის პარტიის დელეგაციის მიღება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში (1-ლი გვერდი).

საქართველოს სს რესპუბლიკან გადაჭარბებით შეასრულა მატყლის დამზადების წლიური გეგმა (1-ლი გვერდი).

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში (1-ლი გვერდი).

რესპუბლიკაში წლის განმავლობაში გავასუქოთ 60.000 ლორი. — **ყველა საშუალება გამოვიყენოთ ხორცის წარმოების გასაღიდებლად.** **ს. ერქომაიშვილი.** — როგორ მოვაწყოთ ღორების სუქება. **მ. დავითაია.** — ჩვენი გამოცდილება. **გ. მეფისაშვილი.** — „ნუთუ ამაზე მეტი გასაკეთებელი არაფერი გაქვთ". **მ. იმერლიშვილი.** — სასარგებლო საქმე (მე-2 გვერდი).

ვინ რა გზით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. — **გ. გელაშვილი.** — მინერალური სასუქების წარმოებას ენერგიულად [illegible] (მე-3 გვერდი).

ვ. გოზალიშვილი. — [illegible] ბი ასე არ უნდა მუ[illegible]. **ს. რიყინაშვილი.** — ორი ფესტივალის წინ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პოლიტიკური მოხსენება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნა ახალი ამოცანების შესაბამისად. მშრომელთა კრებებზე პოლიტიკური მოხსენებებით გამოსვლა ამ მუშაობის გაუმჯობესების, მისი იდეური დონის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში უშუალო მონაწილეობა, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კრებებზე პოლიტიკური მოხსენებების გაკეთება კომუნისტური პარტიის ლენინური ტრადიციაა. მშრომელთა წინაშე გამოსვლა, ადამიანებთან გულახდილი საუბარი ყოველი ნამდვილი პარტიული მუშაკის, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელის სისხლხორცეული მოთხოვნილებაა. სკკპ წესდება ყველა კომუნისტს ავალებს ყოველდღიურად განმტკიცებდეს კავშირს მასებთან, თავის დროზე ეხმაურებოდეს მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, განუმარტავდეს უპარტიო მასებს პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა აზრს.

რესპუბლიკის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება პრაქტიკა, როცა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ხელმძღვანელი მუშაკები სისტემატურად გამოდიან მოხსენებებით პოლიტიკურ თემებზე. ეს ამაღლებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონეს, ამასთან ერთად თვით მომხსენებლებს აიარაღებს ცხოვრების, მშრომელთა მოთხოვნილებების ცოდნით, ხელს უწყობს მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცებას. პოლიტიკურ მოხსენებას, როგორც მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანეს ფორმას, უნარიანად იყენებს პარტიის ახალქალაქის რაიკომი. სკკპ XX ყრილობის შემდეგ რაიკომმა მომხსენებელთა ჯგუფში უფრო ფართოდ ჩააბა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სათანადო ინსტრუქტაჟს უწევს მათ. უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეთა კრებებზე წაკითხულია პოლიტიკური მოხსენებები სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე, მეექვსე ხუთწლედის ამოცანებზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაზე.

ყურადღების ღირსია პარტიის გორის რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის გამოცდილება. რაიკომის ბიურო ყოველთვიურად განიხილავს და ამტკიცებს პოლიტიკურ მოხსენებათა თემატიკას, ამასთან ამ თემატიკაში ითვალისწინებს რაიონის მშრომელთა წინაშე მდგომ ამოცანებს. უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფს, რომელიც 60-მდე ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკს აერთიანებს, 900-ზე მეტი მოხსენება აქვს წაკითხული. რაიონული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები გულდასმით სწავლობენ პოლიტიკური მოხსენებების დროს წამოჭრილ საკითხებს. ამ საკითხების ყურადღებით შესწავლა ხელს უწყობს მასებში პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებას, გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებას, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. როცა ამას წინათ რაიკომის მომხსენებელმა, ახალსოფლის მტს-ის მთავარმა ზოოტექნიკოსმა ი. ცერცვაძემ სოფელ ბერბუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოხსენება წაიკითხა თემაზე „მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გზები და ჩვენი ამოცანები", კოლმეურნეებმა მას ბევრი საინტერესო შეკითხვა მისცეს. შეკითხვების შესწავლამ ცხადყო, რომ კოლმეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა მეფრინველეობის განვითარებას. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ სათანადო ღონისძიებანი განახორციელა და ახლა ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში მეფრინველეობა საზოგადოებრივი მეურნეობის ერთ-ერთ მოწინავე დარგს წარმოადგენს.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესონ და სრულყონ მომხსენებელთა ჯგუფების მუშაობა. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი როდი კეთდება იმისათვის, რომ პოლიტიკური მოხსენებების იდეური შინაარსი უპასუხებდეს პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. ფაქტია, რომ საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების ყველა მუშაკი არ გამოდის მასების წინაშე, რომ ბევრი მოხსენება ყოველთვის როდია ღრმამეცნიერული, მკაფიო და საინტერესო, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული. კვლავ ცუდად არის დაყენებული მომხსენებელთა ინსტრუქტაჟი, მათ იშვიათად აცნობენ რესპუბლიკის, ქალაქის, რაიონის, ცალკეული საწარმოებისა და კოლმეურნეობების წინაშე მდგომ ამოცანებს.

პოლიტიკური მოხსენებების როლის აშკარა შეუფასებლობას იჩენს პარტიის ყვარლის რაიკომი. აქ მომხსენებელთა ჯგუფში მხოლოდ 16 კაცია გაერთიანებული. რაიონის მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მათ შორის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორები, მტს-ის დირექტორი, რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეები, შერჩეული არ არიან პოლიტიკურ მომხსენებლებად. რაიკომს წელს თითქმის ერთხელაც არ შეუკრებია მომხსენებელთა ჯგუფის წევრები, არ დახმარებია მათ თემატიკის შერჩევით, სათანადო ცნობებისა და მასალების მიცემით. ესეც არის იმის მიზეზი, რომ ბევრი მომხსენებელი დაკისრებული მოვალეობის შესრულებას უპასუხისმგებლოდ ეკიდება, არ გამოდის მშრომელთა კრებებზე.

პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ ყველა კოლმეურნეობაში სისტემატურად იკითხებოდეს პოლიტიკური მოხსენებები. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, დუშეთის რაიონში. ამ რაიონის სოფლების ბულაჩაურის, ცხვედიეთის, ხევშას, ხადის და შუახევის კოლმეურნეობებში 7-8 თვის განმავლობაში სრულებით არ წაუკითხავთ მოხსენებები პოლიტიკურ თემებზე.

პრაქტიკა მოწმობს, რომ სადაც მომხსენებელთა ჯგუფების მუშაობას ჯეროვან ყურადღებას აქცევენ, იქ პოლიტიკური მოხსენებები ყოველთვის მაღალ დონეზე ეწყობა. ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი სერიოზულად, საქმის ცოდნითა და სიყვარულით ამზადებს მოხსენებას. ამიტომ მათი გამოსვლები მშრომელთა დიდ ინტერესს იწვევს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ყველა ხელმძღვანელი მუშაკის შესახებ. მოსავლის აღების, საშემოდგომო ხვნა-თესვის დღეებში რაიკომის ბევრი მუშაკი მიდის კოლმეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში, მაგრამ ყველა როდი თვლის თავის უპირველეს მოვალეობად გამოვიდეს მოხსენებით კოლმეურნეთა წინაშე.

დიდი ბოროტებაა პოლიტიკური მოხსენების გაკეთება ძველი, ამასთან სხვის მიერ შედგენილი ტექსტის მიხედვით. ამ ბოროტებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ცხოვრებისაგან, კონკრეტული ამოცანებისაგან, თანამედროვეობის აქტუალური საკითხებისაგან მოწყვეტა ჯერ კიდევ საგრძნობია ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გამოსვლებში. ეს სერიოზული ნაკლი გადაჭრით უნდა იქნას დაძლეული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმმა მოითხოვა, რომ მომხსენებლები ღრმად განუმარტავდნენ მშრომელებს პიროვნების კულტის მავნე შედეგებს და რაზმავდნენ მათ ამ შედეგების ბოლომდე აღმოფხვრისათვის საბრძოლველად.

მშრომელთა წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით გამოსვლა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ფორმაა. პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა გადაჭრით გააუმჯობესონ მომხსენებელთა ჯგუფების მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები საწარმოებსა და კოლმეურნეობებში სისტემატურად გამოდიოდნენ მოხსენებებით პოლიტიკურ თემებზე, დაუცხრომლად შეჰქონდეთ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რაზმავდნენ მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის ახალ და ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ როსტოვის ოლქის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს და ყველა მშრომელთ, რომ მათ წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის 65 მილიონი ფუთი პურის ჩაბარებისა და მიყიდვის ვალდებულებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ წარმატებებს, რომლებიც როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიპოვეს მარცვლეულის წარმოების გადიდებაში, და გამოთქვამენ რწმენას, რომ ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები მარცვლეულის მეურნეობის ზრდასთან ერთად ბეჯითად იმუშავებენ მეცხოველეობის პროდუქტების და განსაკუთრებით ძვირფასი ნაზი მატყლის წარმოების გასაღიდებლად, რისთვისაც გამოიყენებენ ოლქის ხელსაყრელ პირობებს, განახორციელებენ ღონისძიებებს მებაღეობისა და მევენახეობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის და ახალ წარმატებებს მიაღწევენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

პატრიოტული თაოსნობა

ცემენტის ქარხანა „გიგანტის" კოლექტივის სოციალისტური ვალდებულებანი

ვოსკრესენსკი (მოსკოვის ოლქი), 8 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გაიმართა ცემენტის ქარხანა „გიგანტის" მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავის აღსანიშნავად.

ქარხნის დირექტორმა ამხ. პ. ფ. ზნიკინმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ასრულებს კოლექტივი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. წლის დამდეგიდან, ამბობს იგი, მშენებლობებს გეგმის გადაჭარბებით გაეგზავნათ ათასობით ტონა ცემენტი. ეს წარმატება მოპოვებული გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად.

შემდეგ გამოსულმა კარიერის ექსკავატორის მეძანქანემ ამხ. ვ. მ. ნოვიჩკოვმა თქვა:

— მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება შრომითი საჩუქრებით აღნიშნოს მომავალი საყოველთაო სახალხო დღესასწაული. ეუპასუხებთ რა საქმით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენ, მექანიზატორები, ყოველგვარ ამინდში ვიღებთ ნედლეულს ცემენტის წარმოებისათვის.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე ცემენტის საამქროს უფროსი ამხ. რ. ი. გაფიჩუკი, მბრუნავი ღუმელის მეძანქანე ამხ. ი. ი. კორჩაგინი, ვოსკრესენსკის ცემენტის ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. ა. ნ. გრიშინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. ვ. კაპიტონოვი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის ცემენტის მრეწველობის საწარმოთა ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი მოწოდებით ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავის აღსანიშნავად, მთელი შინასაწარმოო რეზერვების მობილიზაციისათვის, 1956 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

თავის მხრივ ცემენტის ქარხანა „გიგანტის" კოლექტივმა, ჩაება რა სოციალისტური შეჯიბრებაში, იკისრა:

ვადამდე, 14 დეკემბრისათვის, შეასრულოს 1956 წლის გეგმა და ჩვენს ქვეყანას დამატებით მისცეს 35 ათასი ტონა ცემენტი;

მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულოს 102,6 პროცენტით;

უზრუნველყოს მარტო გარანტირებული მარკის „400" პორტლანდისა და პლასტიფიცირებული ცემენტის გამოშვება და გაგზავნა;

შეამციროს ტონა ცემენტზე სათბობის ხვედრითი ხარჯი და 1956 წელს დაზოგოს 3.000 ტონა ქვანახშირი;

შეამციროს ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯი ტონა ცემენტზე და დაზოგოს 1956 წელს 2,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია;

მიაღწიოს 1956 წელს 500 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგების მიღებას;

ქარხანა გადააქციოს წარმოების მოწინავე კულტურის საწარმოდ;

სანიმუშოდ მომზადოს საწარმო ზამთრისათვის, 1957 წლის 1 იანვრისათვის შეაშენას გახსნილი ნედლეულის ექვსი თვის მარაგი და ამით უზრუნველყოს ქარხნის რიტმული მუშაობა ზამთრის პერიოდში.



ხარკოვი. ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხანამ თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე 600 ათასზე მეტი მანქანა დაამზადა. მძლავრი სახნავი ტრაქტორები „დტ-54" და უნივერსალური „დტ-14" ფართოდ არის გამოყენებული ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში.

„ხტზ" მარკის პროდუქცია იგზავნება 20 ქვეყანაში, მათ შორის ვიეტნამში, სირიაში, ლიბანში, საბერძნეთში, ინდონეზიაში, ნორვეგიასა და ჩინეთში. წელს ტრაქტორები იგზავნება იუგოსლავიაში. სურათზე: „დტ-54" მარკის ტრაქტორების გაგზავნა იუგოსლავიაში ქარხნის მზა პროდუქციის მოედნიდან.

ფოტო ე. იასენოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სს რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა მატყლის დამზადების წლიური გეგმა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის 107,6 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებისა და მიყიდვის გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 4.621 ცენტნერით მეტი მატყლი, ვიდრე 1955 წლის ამავე დროისათვის.

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებისა და მიყიდვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს გარდაბნის, თიანეთის, დუშეთის, მარნეულის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გარეუბნის, დმანისის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, კაჭრეთის, გურჯაანის, საგარეჯოს რაიონებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა.

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება და მიყიდვა გრძელდება.

(საკდესი)

სოციალისტიკური კრებული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა" ქართულ ენაზე

ქართულ ენაზე გამოვიდა სტატისტიკური კრებული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა".

კრებულში შეტანილია უმნიშვნელოვანესი ცნობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ 1928 წელთან, ომამდელ 1940 წელთან და რევოლუციამდელ 1913 წელთან შედარებით. კრებული შეიცავს აგრეთვე მონაცემებს ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების შესახებ.

წიგნში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი შედარებულია წინა ხუთწლედების შედეგებთან.

(საკდესი).

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში

დამსახურებული დასვენება

შრომის ასობით ვეტერანი მუშაობს მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხანაში. მათგან 120-ზე მეტი პირველი ოქტომბრიდან დამსახურებულ დასვენებაზე წავიდა. ნახევარ საუკუნეს შრომობდა ქარხანაში საამქროს უფროსის მოადგილე ი. ი. კალაჩოვი. მისი შრომითი გზა მუშედან ერთ-ერთი მოწინავე საამქროს ხელმძღვანელამდე მაგალითია მთელი კოლექტივისათვის. არა მარტო მშობლიურ ქარხანაში, არამედ ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა საწარმოშიც იცნობენ მეჯედელ ა. მ. პაშინს. მოხუცი მეჯედელი ხალისით უზიარებდა თავის გამოცდილებას სხვებს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ახლა არიან ისეთები, ვისაც შეუძლიათ შეცვალოს იგი.

შრომის ვეტერანები კადრის მუშებთან, პარტიულ და სამეურნეო აქტივთან ერთად შეიკრიბნენ ვ. ი. ლენინის ძეულთან, სადაც ქარხნის კოლექტივს მისცეს განაწესი იმუშაონ ისე, როგორც გასწავლიდა მშობლიური ილიჩი. შემდეგ ქარხნის სასაღილოს სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში ფინჯან ჩაიზე გაგრძელდა გულთბილი საუბარი. ამხ. ნოვიცკიმ ახალგაზრდობის დავალებით განაცხადა:

— არ დაეჭვდეთ, ჩვენო მასწავლებლებო, რომ ახალგაზრდობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა ისე ისწავლოს და იმუშაოს, როგორც პარტია მოითხოვს.

ქარხნის კოლექტივის სახელით პენსიონერებს მხურვალე მადლობა გადაუხადეს და ბედნიერი დასვენება უსურვეს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. რეზნიჩენკომ, ქარხნის დირექტორმა ამხ. შუვალოვმა, პარტიის მოსკვორეცკის რაიკომის მდივანმა ამხ. ბორისოვმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

დარბაზში დიდხანს არ შეწყვეტილა სიმღერა და მუსიკა.

ახალი ექსპონატები პოლიტექნიკურ მუზეუმში

მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმის დარბაზები ახალი ექსპონატებით შეივსო.

კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის გამოფენაზე, რომელიც აქ არის მოწყობილი, ბევრი ხალხია. მეცნიერმა თანამშრომელმა გადამცემი სატელევიზიო კამერის ობიექტივი ექსკურსანტებისაკენ მიაბრუნა. მათი გამოსახულება ჩანს იქვე ახლო სხვა დარბაზებში დადგმული ტელევიზორების ეკრანებზე. უჩვენებენ ერთა-არხიანი მძლავრი სატელევიზიო სადგურის მუშაობას.

შეტალურგიის განყოფილებაში ექსპონირებულია ელექტროფიცირებული მექანიზებული ტენდი, რომელიც უჩვენებს ელექტროლუმელებში ბურთულა საკისრის ფოლადის მიღების პერიოდებს. აქვეა წარმოდგენილი ფოლადის განუწყვეტელი ჩასხმის დანადგარის მოდელი. ფოლადის წარმოების ეს პროგრესული ხერხი ითვისეს ქარხანა „წითელმა სორმოვომ" და ნოვაია ტულის მეტალურგიულმა ქარხანამ.

მუზეუმის მნახველებს შეუძლიათ გაეცნონ ნახევრადგამტარ ხელსაწყოებს, რომლებიც ფართოდ ვრცელდება ავტომატიკაში, ტელემექანიკაში, თერმოელექტრიკაში, ელექტროტექნიკაში.

მუზეუმის ფონდში წელს მიღებულია 440 ახალი ექსპონატი.

პრესის 27 ათასი საზოგადოებრივი გამავრცელებელი

მოსკოვში მიმდინარეობს სსრ კავშირის ჟურნალ-გაზეთებზე ხელის მოწერა 1957 წლისათვის. საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მუშაობს პრესის 27 ათასი საზოგადოებრივი გამავრცელებელი.

ოქტომბრის მეორე დეკადაში ხელის მოწერა დაიწყება დედაქალაქის სოფსტორ განყოფილებებსა და „სოიუზპეჩატის" 100 კიოსკში.

წელს პერიოდულ გამოცემათა კატალოგში გაჩნდა ჟურნალების ახალი სახელწოდებანი. მათ შორის არის „მოლოდაია გვარდია", „გოროდსკოე სელსკოე სტროიტელსტვო", „ტეხნიკა კინო ი ტელევიდენია", „კოსტიორ", „იუნი ნატურალისტ" და სხვ.

მთავრდება ხელის მოწერა უცხო ქვეყნების პერიოდულ გამოცემებზე.

სერგეი ესენინისადმი მიძღვნილი საღამო

სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის მცირე დარბაზი, სადაც 4 ოქტომბერს გაიმართა სერგეი ესენინისადმი მიძღვნილი საღამო, გაჭედილი იყო ხალხით. დამსწრეთა შორის



მოსკოვი. დედაქალაქის სამხრეთის ნავსადგურში ყოველდღე მოდის ახალი მოსავლის მარცვლეულით დატვირთული გემები. სურათზე: ახალი მოსავლის მარცვლეულით დატვირთული გემის განტვირთვა სამხრეთის ნავსადგურში.

ფოტო მ. რედკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).



სკკპ XX ყრილობის მიერ სამსხმელო მანქანების მშენებელთა წინაშე დასახულ ამოცანებს წყვეტენ ჩვენი ქვეყნის ბევრ საწარმოში, რომლებიც სამსხმელო მოწყობილობას ამზადებენ, მათ შორის მოსკოვის ქარხანა „კრასნაია პრესნიაში". სურათზე: ოთხპოზიციური ლეროიანი საკარუსელო ავტომატის აწყობა.

ფოტო ე. ეზერიხინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

შვეიცარიის შრომის პარტიის დელეგაციის მიღება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბრები შვეიცარიის შრომის პარტიის დელეგაციასთან.

საუბრებში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. ნ. პოსპელოვმა, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბ. ნ. პონომარიოვმა, შვეიცარიის შრომის პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ვოოგმა, შვეიცარიის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟ. ვენსანმა და შვეიცარიის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა გ. შტებლერმა.

საუბრების მსვლელობაში, რომლებიც სრული ურთიერთგაგებისა და ძმური სოლიდარობის ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილულ იქნა ორივე პარტიისათვის საინტერესო საკითხები.

რესპუბლიკაში წლის გოლომდე გავასუქოთ 60.000 ღორი

ყველა საშუალება გამოვიყენოთ ხორცის წარმოების გასაღიდებლად

★ ★ ★

კონსულტაცია

როგორ მოვაწყოთ ღორების სუქება

უხვი კვებისა და სწორი მოვლა-პატრონობის პირობებში ღორი მეხორცულობის საუკეთესო მაჩვენებლებს ამჟღავნებს, რითაც ის ყველა სახეობის ცხოველს სჯობნის. მაგალითად, ერთი ჯიშიანი დედაღორი თავისი ნამრავლით წლის განმავლობაში 20-30 ცენტნერი წონის ნამატს გვაძლევს. ჯიშიანი მეხორცული ერთი ძროხა კი წელიწადში იძლევა მხოლოდ 4-5 ცენტნერი წონის, ხოლო ერთი დედაცხვარი 0,8-1,0 ცენტნერი წონის ნამატს. ამრიგად, ერთი დედაღორი წელიწადში 5-6-ჯერ უფრო მეტ ხორცს გვაძლევს, ვიდრე ძროხა, 25-30-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე ცხვარი.

საკლავი წონისა და სუფთა ხორცის გამოსავლითაც ღორი დიდად აღემატება სხვა ცხოველებს. კარგად გასუქებული ზრდასრული ღორის საკლავი წონა 80 პროცენტს აჭარბებს, ხოლო ძროხისა და ცხვრისა 55-60 პროცენტს. საჭმელად ვარგისი პროდუქტის (ალუთოვანი ხორცი და ქონი) გამოსავალი ღორში მისი ცოცხალი წონის 50 პროცენტს შეადგენს, ძროხასა და ცხვარში — 20 პროცენტს.

ღორი საკვების პროდუქტით ანაზღაურების მხრივაც დიდ უპირატესობას ამჟღავნებს. 1 კილოგრამი წონამატის მისაღებად ღორი 4-5 საკვებ ერთეულს ხარჯავს, ხოლო ძროხა და ცხვარი 8-10 საკვებ ერთეულს.

ღორის ხორცი მაღალი ყუათიანობით ხასიათდება. 1 კილოგრამი ღორის ხორცის თბოღირებულება 3.000 დიდ კალორიას აღემატება, ხოლო ძროხისა და ცხვრის ხორცი — 1.600 კალორიამდე აღწევს.

ღორის ხორცი ნაზი აგებულებისაა, ადამიანის ორგანიზმი მას ადვილად ინელებს და შეთვისების მაღალი პროცენტით ხასიათდება.

ასეთი მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით აიხსნება, რომ მეღორეობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა. მეექვსე ხუთწლიან გეგმაში ნათქვამია, რომ ღორის ხორცის ხვედრითი წონა ჩვენს ქვეყანაში აყვანილ უნდა იქნას ხორცის წარმოების საერთო მოცულობის 50 პროცენტამდე, რისთვისაც გამოყენებულ იქნას ღორების სახორცედ და საბეკონედ გასუქების უპირატესობანი.

ამიტომ საჭიროა მეღორეობაში ზოოტექნიკური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა, უწინარეს ყოვლისა სუქების საქმის მკვეთრად გაუმჯობესება.

უახლოეს ხანში უნდა მივაღწიოთ სახორცე და საბეკონე სუქების მასობრივად გავრცელებას, ისე, რომ ღორის ხორცის უდიდესი ნაწილი ახალმოზარდის გასუქებით მივიღოთ.

ამასთან ერთად რეკომენდებულია სახორცედ სუქებისათვის გამოვიყენოთ ადრე გაზაფხულის გოჭები, რათა ახალმოზარდის მასობრივად სუქება საძოვრული შენახვის პერიოდში წარმოებდეს. ცნობილია, რომ საძოვრული შენახვა და კიდევ დამატებით კვება წარმატებით უზრუნველყოფს ახალმოზარდის ინტენსიურ ზრდას, წონაში მატებას. ამასთან შენახვაც იაფი ჯდება.

სახორცედ გათვალისწინებული ახალმოზარდი ასლეტის შემდეგ მალე სუქდება, სუქება 3-4 თვეს გრძელდება და 6 თვის ასაკში მთავრდება. ჯიშიანი ახალმოზარდი კარგი კვება-მოვლის პირობებში 6 თვის ასაკში 80-100 კილოგრამს აღწევს.

ახალმოზარდის საბეკონედ გასუქება 3-4 თვის ასაკიდან იწყება და მთავრდება 7-8 თვის ასაკში. კარგი კვება-მოვლის პირობებში ახალმოზარდი საბეკონე სუქების დასრულებისას 100 კილოგრამს აჭარბებს.

ცხოველის ასაკი მოქმედებს საკვების გამოყენებაზე, მის პროდუქტით ანაზღაურებაზე. 1 კილოგრამი წონამატის მისაღებად ახალმოზარდი გაცილებით უფრო ნაკლებ საკვებს ხარჯავს, ვიდრე ზრდასრული.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი შესაძლებლობანია სახორცე ტიპის მეღორეობის განვითარებისათვის. აქ წლის

ღორი მეხორცულობით ყველა პირუტყვს სჯობნის

განმავლობაში, ხანგრძლივად, 8-9 თვის მანძილზე შეიძლება გვექნეს მწვანე, ვიტამინებით მდიდარი, ნორჩი ბალახი — ახალმოზარდის კარგი საკვები. მწვანე კონვეიერის სწორად მოწყობა საშუალებას იძლევა ღორები მთელი წლის განმავლობაში უზრუნველვყოთ მრავალგვარი იაფი მწვანე და წვნიანი საკვებით. მაგალითად, ზამთრის პერიოდში ღორისთვის მეტად სასარგებლოა საკვები კომბოსტო, მიწავაშლა და სხვ., რომელთა მოყვანის დიდი შესაძლებლობანია ჩვენი რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში.

ღორის სწრაფად გასუქება მხოლოდ და მხოლოდ უხვი და კარგი კვებით შეიძლება. რაც უფრო მეტი რაოდენობით ეძლევა საკვები, ღორს ჭამის მადაც უკეთესი აქვს და მით უფრო მეტს იმატებს წონაში. 1 კილოგრამი წონამატის მისაღებად საკვები

ღორის ხორცი მაღალყუათიანი საზრდო პროდუქტია

მცირე ოდენობით დაიხარჯება და მნიშვნელოვნად შემცირდება ხორცის პროდუქციის თვითღირებულება.

3-4 თვის ახალმოზარდის სუქებისათვის დღიურად საჭიროა 3,0 საკვები ერთეული, რაც უზრუნველყოფს დღეში 600 გრამ წონამატს. თუ მას ზომიერად ვაკვებავთ, დღეში, ვთქვათ, 2,1 საკვებ ერთეულს მივცემთ, მისი წონამეტი შემცირდება. ფაქტიური წონამეტი მიაღწევს არაუმეტეს 300 გრამისა დღეში.

ღორმა სახორცე კონდიციას რომ მიაღწიოს ანუ წონაში 60 კილოგრამი მოიმატოს, უხვი კვების პირობებში საკმარისია 100 დღე, ხოლო ეგრეთწოდებული „ზომიერი“ კვების პირობებში — 200 დღე. პირველ შემთხვევაში დაიხარჯება — 300 საკვები ერთეული, მეორე შემთხვევაში — 420 საკვები ერთეული. ერთი კილოგრამი წონამეტის მისაღებად პირველ შემთხვევაში დაიხარჯება 5 საკვები ერთეული, მეორე შემთხვევაში — 7 საკვები ერთეული.

ამას გარდა, სუქების ხანგრძლივობის ორჯერ გადიდება, რასაც ადგილი ექნება „ზომიერი“ კვების პირობებში, ერთიორად გაზრდის მოვლა-პატრონობის ხარჯებს, რის გამო პროდუქტის ფაქტიური თვითღირებულება 2-3-ჯერ უფრო მაღალი იქნება, ვიდრე უხვი კვების ანუ მოკლე ვადაში გასუქების პირობებში.

როდესაც მეურნეობას საჭირო რაოდენობით არა აქვს საკვები სუქების დასასრულისათვის, მაშინაც კი ყოველდღიური კვება უხვი უნდა იყოს, ხოლო სუქება გაგრძელდეს მანამდე, სანამ მისთვის განკუთვნილი საკვები არ ამოწურება.

უხვი კვების უზრუნველყოფის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს საკვების კვებისწინა შემზადებისა და შეზავების სწორად მოწყობას. ეს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ჭამის მადას. აგრეთვე პრაქტიკაში კრასნოდარელ მეცხოველეთა გამოცდილებისამებრ ფართოდ უნდა დავნერგოთ მშრალი საკვების ავტოსაკვებურებით მიწოდება ისე, რომ ღორი თავის სურვილზე ჭამდეს ულუფას. ახალი მეთოდით, ავტოსაკვებურებით ღორების გასუქება დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა.

ღორის სუქებისათვის წარმატებით უნდა გამოვიყენოთ ადვილადხსნადი ნახშირწყლებით მდიდარი, იმავე დროს უჯრედანის მცირე ოდენობით შემცველი საკვები. მაგალითად, ძირხვენეული (ჭარხალი, სტაფილო, თალგამურა), ტუბერეული (კარტოფილი, მიწავაშლა), ბახჩეული (გოგრა, საზამთრო, გოგრულა), მარცვლეული (სიმინდი, ქერი, შვრია, ჭვავი), მუხის რკო, ზოგიერთი ნარჩენები — ქატო, ჭარხლის ჟენჟო და სხვ.

გასასუქებელი ღორი წვნიან საკვებს ხალისით ჭამს, სწრაფად ინელებს და კარგად ითვისებს, დღიურ წონამეტს მნიშვნელოვნად ადიდებს. სუქების პერიოდში წვნიან საკვებზე შეიძლება მოდიოდეს მთელი საყუათო მასის 80 პროცენტამდე და მეტიც. რაც უფრო მეტი რაოდენობით გამოვიყენებთ წვნიან საკვებს, მით უფრო შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

ახალმოზარდის სუქება ჩვენში უკვე მასობრივ ხასიათს იღებს. იგი დიდად განსხვავდება ზრდასრული სუქებისაგან. ახალმოზარდი სუქების პერიოდშიც იზრდება. ამიტომ კვებაც ისე უნდა წარიმართოს, რომ საკუთრივ ზრდა ანუ კუნთოვანი ხორცის შექმნა-განვითარება სრულყოფილად წარმოებდეს. ამისათვის საჭიროა სასუქი ახალმოზარდის ულუფაში მეტი რაოდენობით იყოს ცილები, ვიტამინები, აგრეთვე მინერალური ნივთიერებანი.

ზრდასრული ღორის სუქებისას საკმარისია ულუფის 1 საკვებ ერთეულში 70 გრამი მონელებადი ცილა, ხოლო ახალმოზარდის სუქებისას — 90-100 გრამი. რაც უფრო ახალგაზრდაა გასასუქებელი ღორი, მით უფრო მეტი ცილა სჭირდება.

ახალმოზარდს რბილი ქონის წარმოშობისადმი ბუნებრივი მიდრეკილება აქვს. ქონის გარბილებას და მისი საგემოვნო თვისების დაცემას ცხიმით მდიდარი საკვები იწვევს. მაგალითად, ცხიმით მდიდარი საკვები — აბრეშუმის ჭიის ჭუპრი, სოია, ზოგიერთი კოპტონი და სხვ. ადვილად იწვევს ღორის ქონის სირბილეს და ზოგჯერ სპეციფიკურ გემოსა და სუნს. ღორის სუქებისას ცხიმით მდიდარი საკვები ზომიერად და მცირე ოდენობით უნდა გამოვიყენოთ, ხოლო სუქების ბოლო პერიოდში სულ გამოვრიცხოთ ულუფიდან. ღორის ხორცის ხარისხზე კარგ გავლენას ახდენს ქერი, კარტოფილი, ჭვავი, რკო, საძოვრის მწვანე ბალახი.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა გაასუქონ 60.000 ღორი. ჩვენში ამ დავალების წარმატებით შესრულების ყველა საშუალება არსებობს. საჭიროა მტკიცედ დავიცვათ ღორის სუქების წესები. მაშინ უფრო სწრაფად გავადიდებთ ღორის ხორცის წარმოებას.

ს. ერქომაიშვილი,
პროფესორი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი.

უკანასკნელ წლამდე მეღორეობა კახეთის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მივიწყებული დარგი იყო. ახლა აქ მას სერიოზულ ყურადღებას აქცევენ. წელს კოლმეურნეობამ ააშენა სტანდარტული საღორე 300 სულისათვის. გათვალისწინებულია სადგომის წინ შემოღობონ ეზო, სადაც მოხდება ღორების კვება, დარწყულება.

სურათზე: ახლად აგებული საღორე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

სასარგებლო საქმე

ახლა ფერმაში გვყავს 189 სული ღორი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 70 სულისა. ყოველ დედაღორზე უნდა მიგვეღო 10 გოჭი, უკვე მიღებული და შენარჩუნებულია საშუალოდ 11,7 გოჭი.

ღორის ხორცის წარმოების ზრდა საშუალებას გვაძლევს ვადამდე გადამეტებით შევასრულოთ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმები, მათ შორის ღორის ხორცისა. პირველი ოქტომბრისათვის კოლმეურნეობას ხორცის სავალდებულო ჩაბარების და შესყიდვის გეგმები გადაჭარბებით ჰქონდა შესრულებული.

ამჟამად გასუქებაზე დაყენებულია 65 სული ღორი, რომლებსაც სახელმწიფოს ჩავაბარებთ მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში. საჭმეს ისე გაწყობთ, რომ 1957 წელს სავალდებულო და სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმის ნახევარი შესრულდეს ღორის ხორცით.

მეღორეობის განვითარება მეტად საჭირბოროტოა. ამაში დარწმუნებული ვართ. მაგრამ მეურნეობის ამ დარგიდან ჯერ კიდევ ვერ ვიღებთ ისეთ მაღალ შემოსავალს, რის მოცემაც მას შეუძლია.

რა არის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა ის, რომ არა გვაქვს ღორებისათვის კეთილმოწყობილი ბინა, ავტოსაკვებურები. ამიტომ ვკარგავთ საკვების დიდ რაოდენობას, რაც იწვევს მეტ დანახარჯებს. ცოტა გვყავს ჯიშიანი ღორებიც.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება არ არის ძნელი. საჭიროა კოლმეურნეობის გამგეობამ ყველა ღონისძიება მიიღოს მეღორეობის ფართოდ განვითარებისათვის, რისთვისაც მეტი ყურადღება მიაქციოს ღორების გასუქებას მთელი წლის განმავლობაში.

მართა იმერლიშვილი,
მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მეღორე.

უპასუხისმგებლობის ფაქტები

შემოწმებით გამორკვეულია, რომ მთელ რიგ რაიონებში უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ღორებს, განსაკუთრებით გოჭებს მოვლა-პატრონობას და ამავე დროს გაუსუქებლად დიდი რაოდენობით ყიდიან და კლავენ ღორებს. ასეთი ფაქტები იყო ვანის რაიონში, სადაც 1955 წლის 1 სექტემბრიდან 1956 წლის 1 სექტემბრამდე გაყიდული და დაკლულია ყველა ასაკის 2.697 ღორი. ამ ხნის განმავლობაში მოკვდა 614 სული.

ამ რაიონში გასუქებაზე დაყენებული იყო მხოლოდ 221 ღორი, გეგმა კი 830-ს ითვალისწინებდა. ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ რაიონში ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა 20 სექტემბრისათვის შესრულებული იყო 44,5 პროცენტით.

ასეთივე მდგომარეობაა ყვარლის რაიონში. ზემოაღნიშნული დროის განმავლობაში რაიონში გაუსუქებლად გაიყიდა და დაიკლა 2.448 ღორი, დიდი რაოდენობით დაიხოცა ღორები. გაასუქეს 277 სული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.231 სულისა. ამის შედეგი ის, რომ ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები რაიონში სანახევროდაც არ არის შესრულებული.

ნ. პლატონიძე.

★ ★

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გასუქებულ უნდა იქნას 60.000 ღორი, რაც უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება ხორცის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმის შესრულების საქმეში.

ამ მხრივ რაიონებს მეტად სერიოზული დავალებები აქვთ. წითელწყაროს რაიონმა უნდა გაასუქოს 4.000 ღორი, სიღნაღის რაიონმა — 3.813, ლაგოდეხის — 2.367, ახალქალაქის — 1.417, ახალციხის — 782, ქარელის — 1.000, ხაშურის — 600, გორის — 2.000, გურჯაანის — 1.500, კაჭრეთის — 1.503, თელავის — 1.500, ახმეტის — 1.000, ყვარლის — 2.000, გარეუბნის — 1.500, მცხეთის — 1.000, მარნეულის — 1.000, დუშეთის — 800, საგარეჯოს — 2.146, თეთრი წყაროს — 1.000, თიანეთის — 1.455, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 3.000, ქუთაისის — 600, წყალტუბოს — 300, სამტრედიის — 1.000, ვანის — 609, ზესტაფონის — 500, თერჯოლის — 594, აბაშის — 1.000, ცხაკაიას — 1.089, ზუგდიდის — 1.200, წალენჯიხის — 800, მახარაძის — 2.000, ლანჩხუთის რაიონში — 930, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 4.000, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 1.495 ღორი.

ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობამ უნდა გაასუქოს 1.300 ღორი, ელდარის — 400, კრწანისის — 210, ყარაიის — 100, მუხროვანის — 60 და სხვ.

„ნუთუ ამაზე მეტი გასაკეთებელი არაფერი გაქვთ“

ჩვენი რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრში — ქალაქ ქუთაისში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ღორების გასასუქებლად ნარჩენების გამოყენებას. ქალაქის სასადილოებსა და მოსახლეობაში, აგრეთვე კვების საწარმოებში ყოველთვიურად ათობით ტონა საჭმლის ნარჩენების მოგროვება და ასეულობით ღორის გასუქებაა შესაძლებელი.

სასადილოების ტრესტს, რომლის ქსელი ოთხმოცამდე რესტორანს, სასადილოსა და სასაუზმეს ითვლის, საკმაოდ მოზრდილი მეურნეობა აქვს. ამჟამად მეურნეობაში 85 ღორს ასუქებენ. მაგრამ მათი კვება არადამაკმაყოფილებელია. რესტორანებიდან, სასადილოებიდან და სასაუზმეებიდან დამხმარე მეურნეობამ წელს უნდა მიიღოს 200 ტონა საჭმლის ნარჩენები, აქედან განვლილ 9 თვეში — 150 ტონა, ფაქტიურად შეგროვებულია მხოლოდ 108 ტონა.

მეურნეობის დირექტორი ვ. ხურციძე იძულებულია ხშირად შეახსენოს საზოგადოებრივი კვების მუშაკებს ნარჩენების შეგროვების შესახებ.

— საქმე ხომ არ შემოგელიათ, ნუთუ ამაზე მეტი გასაკეთებელი არაფერი გაქვთ? — ამ სიტყვებით ისტუმრებენ საზოგადოებრივი კვების მუშაკები მეურნეობის მუშაკებს, ხოლო საკუთარი ღორების გასასუქებლად ნარჩენებს კი არა, სხვა რამესაც არ იშურებენ.

აბა რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მეათე სასადილომ (გამგე კომუნისტი მ. კანდელაკი) განვლილ 3 თვეში მეურნეობას ჩააბარა მხოლოდ 3 კილოგრამი ნარჩენი. ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ასევე უგულებელყოფენ № 5 და № 21 სასადილოებში, სადაც გამგეებად კომუნისტები მ. შავგულიძე და ვ. ფურცხვანიძე არიან. თვითეულმა მათგანმა მთელი კვარტალის მანძილზე მეურნეობას ჩააბარა მხოლოდ 40-45 კილოგრამი ნარჩენი.

ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი რესტორანია „იმერეთი“ (დირექტორი კ. სანებლიძე), რომელსაც არცერთი კილოგრამი ნარჩენი არ შეუგროვებია მეურნეობისათვის გადასაცემად.

ადგილობრივი ორგანოების მითითებით ქალაქის საავადმყოფოებს, საბავშვო ბაღებსა და ბაგებს დავალებული აქვთ რეგულარულად „წვდიდნენ“ ნარჩენებს აღნიშნულ მეურნეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი არაფერს არ აკეთებს. მეურნეობას მათგან მთელი წლის განმავლობაში ერთი კილოგრამი ნარჩენიც არ მიუღია.

ღორების გასასუქებლად დამატებით საკვების შეგროვებისათვის დიდი რეზერვებია ქალაქის კვების საწარმოებში. მაგალითად, ლუდის ქარხანამ წელს შეაგროვა 880 ტონა ნარჩენი და გადასცა დანიშნულებისამებრ. ამ საწარმოს ნარჩენები განსაკუთრებით კარგი საკვებია ღორების გასასუქებლად.

მაგრამ ყველგან როდი ხდება ასე. მიქიანის სახელობის საკონსერვო ქარხანაში ხილ-ბოსტნეულის გადამუშავების დროს ყოველთვის ბევრია ნარჩენები, მაგრამ არავინ იწუხებს თავს მისი გამოყენებისათვის, მიმდინარე სეზონში ფუჭად დარჩა ათობით ტონა პამიდორის და სხვადასხვა ხილის ნაფცქვენი.

ასევე ითქმის წისქვილ-კომბინატის, საკონდიტრო ფაბრიკის, რძის ქარხნისა და სხვა საწარმოების შესახებ.

საჭიროა ფართოდ მოეწყოს ქალაქში სხვადასხვა ნარჩენების მაქსიმალურად შეგროვება ღორების გასასუქებლად. მუშაობაში უნდა გამოვიყენოთ და დაკნერგოთ ძვირფასი გამოცდილება მოსკოვის ოლქის ოქტომბრის X წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობისა, რომელიც საჭმლის ნარჩენებით ყოველწლიურად 35-40 ათას ცენტნერ ღორის ხორცს იღებს.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩვენი გამოცდილება

მეცხოველეობის განვითარება ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი საქმეა. ამ დარგის აღმავლობისათვის მოგვიწოდა პარტიამ და მთავრობამ. 23 წელია ამ საქმეს ვემსახურები და ძალღონეს არ ვიშურებ კოლმეურნეობაში პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდისათვის. ვუვლი 20 დედაღორს. მიმდინარე სამეურნეო წელს თვითეულ დედაღორზე მივიღე 17 გოჭი, გეგმით კი უნდა მინელო 12.

როგორ ვაღწევ წარმატებას?

უწინარეს ყოვლისა, ზოოვეტწესების ზუსტად განხორციელებისათვის დახმარებას ვიღებ სპეციალისტებისაგან, შემდეგ პრაქტიკული მუშაობით, დაკვირვებით შევიძინე ერთგვარი გამოცდილება. როგორც კი დედაღორი დაგრილდება, ცალკე გამოვყოფ. ჩვენთან ლიკვიდირებულია პირუტყვის ბერწიანობა. ამის შემდეგ საქმე არ მიძნელდება. მაკე ღორებს შერჩეული საკვებით ვკვებავ. საამისოდ მაქვს დაღერღილი კონცენტრატები, წვნიანი საკვები, ძირხვენები, მწვანე ბალახი და სხვ. ზუსტად ვიცავ კვების და პირუტყვის გასეირნების ვადებს.

დაგოჭიანების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დედაღორები გადამყავს ცალკე მოწყობილ განყოფილებაში. ვაწარმოებ დაკვირვებას, ვცდილობ თითქმის ყოველდღე შევურიო რაციონში ის საკვები, რომელსაც ცხოველები უფრო მადიანად ჭამენ.

ახალშიღებული გოჭები სამი დღის განმავლობაში მყავს ცალკე ყუთებში, რათა დავიცვა დაზიანებისაგან. როგორც წესი, გოჭებს ვაჭრი საეშვე ბილებს, რომ დედები არ გააღიზიანონ, და ვანაწილებ ცურებზე ისე, რომ შედარებით სუსტნი მოხვდნენ წინ — მკერდის მხარეს, ხოლო ძლიერები ბოლოს. ეს იმიტომ, რომ წინა მხარეს რძე უფრო მეტია და ყუათიანი.

როცა გოჭები შეეჩვევიან ჭამას, ვაძლევ სიმინდის ღერღილს, ქატოს. საკვებში ვურევ ნახშირს, ცარცსა და წითელ მიწას, რათა მათი ძვლების სისტემა მომაგრდეს. ამით უმჯობესდება საკვების მონელებაც. ყველაფერი ეს ვიცი ჩემი გამოცდილებით, აგრეთვე ნასწავლი მაქვს სამწლიან აგროზოოტექნიკურ კურსებზე.



მ. დავითაია.

• • •

თვითეულ გოჭს სანი თვის ასაკში ვაძლევ დღეში 1,3 კილოგრამ კონცენტრატს, 1,5 კილოგრამ მწვანე ბალახს, 6 გრამ მარილს. ზამთარში კი — სილოსს, დაკეპილ ძირხვენებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ გოჭების სისუფთავეს, ბინების დეზინფექციას. ღორები და გოჭები დამყავს საბანაოდ.

მეღორეობის განვითარებაში მთავარია მაღალი ნასუქობის მიღწევა, ღორის სულადობის ზრდა. მეცხოველეობაში გასულ სამეურნეო წელს გასასუქებლად დაყენებული მყავდა 5 ერთნაირი მოზარდი. წლის ბოლოს სახელმწიფოს ჩავაბარე 1.500 კილოგრამი ხორცი. ზოგი მათგანის წონა 400 კილოგრამი იყო.

ღორების გასუქებაში მთავარია საკვები. სისტემატურად მაქვს ქატო, ქერი, საკვები საზამთრო და სხვ. მაგრამ კარგია ღორების კვებაში გამოყენებულ იქნას უფრო იაფი საკვები — პარკოსანი კულტურები. კოლმეურნეობის გამგეობას გათვალისწინებული აქვს მომავალ წელს ჰქონდეს პარკოსნების რამდენიმე ჰექტარი ნათესი. ღორების ძოვებაც სასურველ ნაყოფს იძლევა. ამისათვის ვარჩევ ისეთ ფართობებს, სადაც შხამიანი ბალახები არ არის. პირველ დღეს ვაძოვებ საათ-საათნახევარს, მეორე დღეს — ორ საათს, მესამეს — ოთხ საათს. ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

ამას წინათ გავეცანი კრასნოდარელ მეღორეთა გამოცდილებას. ჩვენს კოლმეურნეობაში მოეწყო კრება, რომლის მონაწილეებმა ვიკისრეთ გადიდებული ვალდებულებანი. ჩემი პირობა ასეთია: ახალ სამეურნეო წელს თვითეულ დედაღორზე მივიღო 21 გოჭი, თუ წელს საღღეღამისო მატება 350 გრამი იყო, იგი ავიყვანო 550 გრამამდე.

მათე დავითაია,
ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მეღორე.

ვინ როგორ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას

მინერალური სასუქების წარმოებას ნელი ჯემპით ითვისებენ

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა აღჭურვილია სამმტულო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი, ძირითადად ავტომატურად მოქმედი აგრეგატებით, მანქანადანადგარებითა და აპარატებით.

ქარხნის საამქროთა პირველი ნაკადი მიმდინარე წლის თებერვალში ამუშავდა, ერთი თვის შემდეგ მწყობრში ჩადგა მეორე ტექნოლოგიური ნაკადი. ახალგაზრდა ქიმიკოსები შეუდგნენ სოფლის მეურნეობისათვის ძვირფასი მინერალური სასუქის — ამონიუმის გვარჯილისა და ნატრიუმის გვარჯილის გამოშვებას.

ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენებისათვის ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა დახმარებით თავიდანვე მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ჩაატარა, რომელთა განხორციელების შემთხვევაში შესაძლოდ მიიჩნიეს ქარხნის საერთო წარმადობის სულ მცირე 20-25 პროცენტით გადიდება. რუსთავის ქიმიკოსები პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში კიროვაკანის ქიმიური კომბინატის კოლექტივთან ჩაებნენ და ვალდებულება აიღეს წარმატებით აეთვისებინათ მინერალური სასუქების ახალი სახეობის — აზოტოვანი სასუქების გამოშვება, გოგირდსაწმენდი, მეთანის კონვერსიის საამქროების ახალი ტექნოლოგიური პროცესები და უზრუნველყოთ წლიური საწარმოო გეგმის შესრულება. ქიმიკოსთა ვალდებულება ითვალისწინებდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების 2 პროცენტით ამაღლებას, მეორე კვარტალის ბოლოსათვის საწარმოს მესამე ტექნოლოგიური ნაკადის მთელ რიგ სამონტაჟო სამუშაოთა დამთავრებას, 600 რაციონალიზატორული წინადადების შეგროვებას, აქედან 375 წინადადების წარმოებაში დანერგვით 2 მილიონი მანეთის ეკონომიის მიღებას, ახალი პროფესიის 120 მუშის მომზადებასა და სხვ.

სამწუხაროდ, ქარხნის კოლექტივს ეს ვალდებულებანი შეუსრულებელი დარჩა. აზოტოვან სასუქთა წარმოების ათვისების ტემპი მეტად დაბალია. საერთო პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა ქარხანაში მხოლოდ 38,6 პროცენტით შესრულდა, მათ შორის ამონიუმის გვარჯილის დამზადებისა — 37,1 პროცენტით. სექტემბერშიც წინა თვეებთან შედარებით გეგმის შესრულების მაჩვენებელი მხოლოდ 15-20 პროცენტით გაიზარდა. 8 თვის მანძილზე ქარხნის ზეგეგმითი ზარალი 10 მილიონ მანეთს აღწევს, ხელფასის ფონდში გადახარჯვა — 4 მილიონ მანეთს. მაღალია პროდუქციის თვითღირებულება, გადახარჯულია დიდძალი ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და ენერგეტიკული რესურსები.

ქარხნის დირექტორი ნ. ჭიპაშვილი ჩამორჩენის ძირითად მიზეზად ასახელებს იმას, რომ გოგირდსაწმენდ და მეთანის კონვერსიის ახალი ტიპის საამქროებს ათვისების პროცესშივე აღმოაჩნდათ მთელი რიგი კონსტრუქციული ნაკლოვანებანი და შეცდომები დაპროექტება-დამონტაჟებაში, რამაც საჭირო გახადა მუშაობის პროცესში შეცვლილიყო და გადაკეთებულიყო ცალკეული კონსტრუქციული ელემენტები, კვანძები, წარმოების მოქმედი სქემები და ამან გამოიწვია მოწყობილობათა ხშირი მოცდენები.

ყოველივე ეს სინამდვილეა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ქარხნის კოლექტივი უნარიანად ვერ იყენებს მდიდარ ტექნიკას, ნაკლები ყურადღება ექცევა არსებული რეზერვების გამოვლინებასა და ამოქმედებას. ქარხნის ხელმძღვანელებმა ყურადღების ცენტრში ძირითადად დასახელებული ორი საამქროს მუშაობის ნაკლოვანებანი მოაქციეს და დანარჩენი წამყვანი ობიექტებისადმი ხელმძღვანელობა შეასუსტეს. ამან უარყოფითი შედეგი გამოიღო სპილენძამიაკის გამწმენდ და სინთეზის საამქროებში, რომლებიც დღეისათვის ყველაზე მეტად ჩამორჩებიან. სპილენძამიაკის საამქროში მწყობრიდან ხშირად გამოდის ე. წ. სასრუტები და ამ მიზეზით საამქროს კოლექტივი საწარმოო გეგმებს მესამედადაც ვერ ასრულებს. ამავე საამქროში წესრიგს არ არის მოყვანილი საკონტროლოსაზომი ხელსაწყოების მუშაობა. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა სინთეზის საამქროს ცალკეული ცვლები კონვერსიის საამქროდან საჭირო შემადგენლობის აირს ვერ იღებენ. ეს გამოწვეულია კონვერტორის გადახურებით, არანორმალური მუშაობითა და ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით. პირველ სექტემბრამდე ქარხანაში ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის 83 შემთხვევა იყო.

ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს კოლექტივი ძირითად საამქროებს სათადარიგო ნაწილებით ვერ უზრუნველყოფს, ამასთან მოწყობილობის რემონტს დროულად არ აკეთებენ. ამის შედეგად წელს ქარხანაში ავარიის 5 და წუნის 313 შემთხვევა იყო, რამაც საწარმოს 200 ათასი მანეთის ზარალი მოაყენა.

ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური 8 ღონისძიებიდან, რომელთა შესრულების ვადა უკვე ამოიწურა, მხოლოდ ორია განხორციელებული. 352 რაციონალიზატორული წინადადებიდან დღემდე წარმოებაში მხოლოდ 147 დანერგა და პირველი სექტემბრისათვის რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვების წლიური დავალება მხოლოდ 57 პროცენტით შესრულდა, კადრების მომზადებისა და მათთვის კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა — 48 პროცენტით. ამ მიზნით ასიგნებული 43.000 მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 12.500 მანეთი. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას. წელს ქარხანაში ამ მიზნით მოწინავეთა გამოცდილების არც ერთი სკოლა არ შეუქმნიათ.

ქარხანაში დაბალია შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა. მარტო მიმდინარე წლის 8 თვეში სამუშაოს გაცდენის 263 შემთხვევა იყო, რითაც 517 კაცდღე დაიკარგა. დიდია კადრების დენადობა. 8 თვის მანძილზე ქარხანაში მიღებულია 403 კაცი, ამავე პერიოდისათვის განთავისუფლებულია 310 კაცი, მათ შორის საწარმოდან თავისი სურვილით წავიდა 218 კაცი, რომელთაგან 150-მა სამუშაო საცხოვრებელი ბინით დაუკმაყოფილებლობის გამო მიატოვა.

არადამაკმაყოფილებელია სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. საამქროს, ცვლესა და ბრიგადებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს ყოველთვის დროულად არ აჯამებენ. არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ცალკეული პროფესიების მიხედვით. ქარხანაში ახალგაზრდა ქიმიკოსებისათვის შექმნილი **არ არის** საყოფაცხოვრებო და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის სათანადო პირობები. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მშენებლები დაუშვებლად აჭიანურებენ აზოტოვანი სასუქების ქარხნისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ბინების, ქიმიკოსთა კლუბისა და სხვა ობიექტების მშენებლობას. ტრესტის ბინათმშენებლებმა წელს ქარხანას 5.150 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი უნდა ჩააბარონ, ფაქტიურად დღემდე მხოლოდ 1.870 კვადრატული მეტრია ჩაბარებული. ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე მთელ რიგ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დეფექტების გამოსწორება.

ქარხანაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და საწარმოო გეგმის შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მესამე ტექნოლოგიური ნაკადის სამონტაჟო სამუშაოთა დროულად დამთავრებას. მათ შორის მესამე აირის კომპრესორის, მესამე სინთეზის კოლონის, მე-3 და მე-4 მეთანის კონვერტორების საეკსპლოატაციოდ გადაცემას. მაგალითად, მესამე სინთეზის კოლონის ამუშავებით სულ მცირე 20 პროცენტით გაიზრდება ამიაკის წარმოება, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაადიდებს მინერალური სასუქის გამოშვებას. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მესამე კომპრესორის დროზე ამოქმედებას. წინაადმდეგ შემთხვევაში საწარმოს ამ ახალი ტექნოლოგიური ნაკადის დანარჩენი დანადგარები მთელი დატვირთვით ვერ იმუშავებენ. შემოწმებამ ცხადყო, რომ ქარხნის კაპიტალურ მშენებლობათა სამმართველოს უფროსი გ. ბარამიძე, საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების საამქროს უფროსი ა. შათირიშვილი და მთავარი მექანიკოსი ი. ტოკარი მესამე ტექნოლოგიური ნაკადისათვის განკუთვნილ აგრეგატებს საჭირო სათადარიგო ნაწილებით ვერ უზრუნველყოფენ. ვადაზე მათ ამუშავებას კვლავ საფრთხე ემუქრება.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა რესპუბლიკაში აზოტოვანი სასუქების წარმოების 8-ჯერ გაზრდას ითვალისწინებს. ამ სერიოზული ამოცანის შესრულებას რუსთავის ახალგაზრდა ქიმიკოსები, ცხადია, ვერ შეძლებენ, თუ დაუყოვნებლივ არ გამოასწორეს არსებული ნაკლოვანებანი. აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივმა დროზე უნდა აღმოფხვრას ჩამორჩენის მიზეზები, გამოუშვას მეტი მაღალხარისხოვანი მინერალური სასუქები.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რთველი მასობრივად გაჩაღდა. სოფელ ძველი ანაგის (სიღნაღის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 42 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვს. გასული წლის შემოდგომაზე ვენახის რიგთა შორის ხვნა და ვაზის ძირების გათოხნა რთველის დამთავრებისთანავე ჩატარდა. ვაზს რომ ტენი არ მოჰკლებოდა, კულტივაცია და თოხნა ადრე გაზაფხულზე განახორციელეს, დროულად ახხურებდნენ ვაზს შაბიამნის ხსნარს.

მოსავალიც უხვია. თვითეულ ჰექტარზე იღებენ 110-120 ცენტნერ ყურძენს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერისა. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს უკვე 110 ტონაზე მეტი ყურძენი ჩააბარა.

ყურძნის მოსავლის აღებაში დაწინაურდნენ კოლმეურნეები უენია, ჭსენია, თამარ, ნინო ბეგიაშვილები. ისინი ყურძნის კრეფის ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ.

სურათზე: რთველი სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო შ. გოქაძისა.

ზყიბულ ჰესის მშენებლობაზე

თერჯოლა. (საკ. კორ.). ტყიბულ-ჰესის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში კი მაინც შეუწუნარებლად ნელი ტემპით განაგრძობენ მუშაობას. წლიური გეგმის შესრულება აშკარა საფრთხეშია, — წერდა „კომუნისტის“ 4 სექტემბრის ნომერში ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი.

პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო და ჩაის კრეფის სეზონი დასასრულს უახლოვდება, ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში ამაოდ შეუწყვეტლად ნელი ტემპით განაგრძობენ მუშაობას. წლიური გეგმის შესრულება აშკარა საფრთხეშია, — წერდა „კომუნისტის“ 4 სექტემბრის ნომერში ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი.

პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო და ჩაის კრეფის საქმეში არსებულ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად დასახა ღონისძიებანი. ჩაის კრეფაში ჩამორჩენისა და სუსტი ხელმძღვანელობისათვის სოფელ არჩეულის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ძ. აფხაზავას და პარტორგანიზაციის მდივანს კ. მოისწრაფიშვილს რაიკომის ბიუროომ გამოუცხადა საყვედური. სოფელ ჭანჭათის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. ხუხუნაიშვილს და პარტორგანიზაციის მდივანს დ. ცუცქირიძეს მიეთითათ.

საკლუბო დაწესებულებები ასე არ უნდა მუშაობდნენ

მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დიდი როლი აკისრიათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. სასოფლო კლუბები და ბიბლიოთეკები კულტურის ნამდვილი კერები უნდა იყვნენ.

სამწუხაროდ, ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა წალენჯიხის რაიონში. გარდა ორიოდე კლუბისა (ჯგალის, ჯვარის და № 1 ჩაის ფაბრიკისა), თითქმის ყველგან ჩაშლილია მუშაობა.

სოფელ ლიის კლუბის გამგეს მ. ქუხილავას რომ ჰკითხოთ, თუ როგორ აწყობს მშრომელთა კულტურულ დასვენებისა და გართობას, ის რვეულებს გადმოგილაგებთ, რომლებშიც სამუშაო გეგმებია. გეგმები მართლაც კარგად არის შედგენილი, მაგრამ აქ არავინ ფიქრობს მათს შესრულებაზე.

კლუბთან შექმნილია ლექტორთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან მასწავლებლები, ექიმი და აგრონომი. სამუშაო გეგმაც აქვთ შედგენილი, მაგრამ ლექციებს იშვიათად კითხულობენ. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ვ. კუციას მთელი წლის განმავლობაში არც ერთი ლექცია არ წაუკითხავს, ხოლო ისტორიის მასწავლებელს ვ. ფიფიას, ექიმ ლ. ფონიას და კოლმეურნეობის აგრონომს ი. სამუშაოს მხოლოდ თითო ლექცია აქვთ წაკითხული.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ კლუბში მუშაობის ელემენტარული პირობებიც კი არ არის შექმნილი. ძველი ფიცარული შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, ცალ მხარეზეა გადაზნექილი, კედლებში ჭარი ჰქრის, ხოლო ჭერში წვიმა ჩამოდის. ამ სოფელში ორი მილიონერი კოლმეურნეობაა, მაგრამ მათი გამგეობები ვერ შეთანხმებულან, რომ დაიწყონ კლუბის მშენებლობა და ლიელ კოლმეურნეებს შეუქმნან კულტურული დასვენებისა და გართობის ნორმალური პირობები.

არასახარბიელო მდგომარეობაა სოფელ ორჯონიკიძის კლუბშიც (გამგე ნ. ფიფია). აქ საწრეო საქმიანობა სრულიად მიგიწყებულია, ლექციურ პროპაგანდაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

როგორც წესი, სოფლის კლუბებს რაიონის კულტურის სახლის მუშაკები უნდა ეხმარებოდნენ. მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ თვით კულტურის სახლში (დირექტორი ბ. ჩიქოვანი) წელს არც ერთი ლექცია არ ჩატარებულა. უფრო მეტიც, აქ ლექტორთა ჯგუფი ფაქტიურად არ არის. წრეებიდან მხოლოდ დრამატული წრე არსებობს და ისიც ძლიერ სუსტად მუშაობს, ხოლო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ოლიმპიადის წინ შექმნიან ხოლმე.

კულტსახლს მუშაობაში ხელს უშლის ის, რომ ბინა არა აქვს და კინოთეატრშია შესახლებული. როცა საღამო-წარმოდგენა იმართება, კინოსეანსი იშლება. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსათვის კარგად არის ცნობილი ეს მდგომარეობა, მისი ხელმძღვანელები მრავალჯერ დაპირდნენ რაიონის მცხოვრებლებს, რომ დაიწყებდნენ კულტსახლის მშენებლობას, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება.

რაიონის ზოგიერთ სოფელში შეხვდებით ასეთ სურათს: დაღლილი ხარები ძლივს მიათრევენ ურემს რომელზეც კინოაპარატები აწყვია. ურემს შორიახლოს მიჰყვება კინომექანიკოსი ვ. ზარქუა. სოფელში აფიშები იუწყებიან კინოსეანსის დაწყების დროს, მაგრამ ასეთი ტრანსპორტის წყალობით კინოსეანსები ხშირად დაგვიანებით იწყება. ვ. ზარქუა სიხარულს ვერ მალავს, როცა კინოაპარატები კოლმეურნეობის მანქანით მიაქვს, მაგრამ ეს არც თუ ისე ხშირად ხდება. ამიტომ ეგი ვერ ასრულებს კინოსეანსების ჩატარების გეგმას.

საერთოდ რაიონში ვერ სრულდება კინომომსახურების გეგმა. ან როგორ უნდა შეასრულონ ეს გეგმა, როცა ზოგიერთ კოლმეურნეობაში სათანადო შენობის უქონლობის გამო მხოლოდ ზაფხულობით და ისიც კარგ ამინდში შეიძლება კინოფილმების ჩვენება. წალენჯიხის კოლმეურნეობებში, ობუჯის კოლმეურნეობა „კოლხიდაში“, ფახულანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოხრდილი ოთახიც კი არ არის კინოფილმის ჩვენებისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, პარტიის წალენჯიხის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა დროულად უნდა აღმოფხვრან რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

ვ. გოზალიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

წერილები რედაქციას

დავიცვათ ისტორიული ძეგლები ყურადღებისაგან

დაბა სურამში მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებია. მნახველთა ყურადღებას იპყრობს სურამის ციხე და XIV-XV საუკუნეში აგებული იტრიის უგუმბათო ტაძარი.

სამწუხაროდ, სურამის ამ მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლებს ყურადღება არ ექცევა და ამჟამად ისინი ნგრევის პროცესშია. იტრიის ტაძრის ერთი მხარე ჩამონგრეულია. ეზო არ არის მოვლილი და შემოკავებული. დაზიანებული, შემოუკავებელი და მოუვლელია სურამის ციხეც.

მიმდინარე წლის დასაწყისში სურამის სადაბო საბჭომ და ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომმა კულტურის სამინისტროს წინაშე დააყენეს საკითხი სურამის ციხის რესტავრაციის შესახებ, მაგრამ ამ მიმართულებით დღემდე არაფერია გაკეთებული.

კურორტი სურამი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. აქ ყოველწლიურად ბევრი დამსვენებელი ჩამოდის მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, შორეული აღმოსავლეთიდან. ზაფხულობით იხსნება პიონერბანაკები. დამსვენებლები და პიონერები დიდი ინტერესით ათვალიერებენ სურამის ციხეს და სხვა ისტორიულ ძეგლებს, მაგრამ აქ არა ჰყავთ ექსკურსიამძღოლი, რომელიც მისცემდა მათ საჭირო განმარტებას.

საჭიროა კულტურის სამინისტრომ ყურადღება მიაქციოს აღნიშნული საკითხის მოგვარებას.

ვ. გოგიბერიძე.

ნარაზენელ მოსწავლეებს კარგი სასკოლო შენობა უნდა ჰქონდეთ

ნარაზენის საშუალო სკოლის მიკრორაიონს შეადგენს სოფლები ნარაზენი, ხეცერა, აბასთუმანი, ჭაქვინჯა, ნარაზენისა და ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობები და ნარაზენის ჩაის ფაბრიკა. ამ სკოლაში 400-ზე მეტი ბავშვი სწავლობს.

ახალი სასწავლო წელი აღნიშნული სკოლის მოსწავლეებმა კვლავ შეუფერებელ ბინაში დაიწყეს. სკოლას 7 საკლასო ოთახი აქვს, მაშინ როცა აქ 22 კლასია. ასე რომ აქ მეცადინეობა სამ ცვლადაც მოუხერხებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, გეოგრაფიის კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღები ბინის უქონლობის გამო სარდაფშია და ზიანდება, ხოლო სკოლას ბიბლიოთეკის 3.000 წიგნით ვერ სარგებლობენ მოსწავლეები, რადგან ბინა არც ბიბლიოთეკას აქვს.

სკოლას დღემდე არა აქვს მიწის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, სასპორტო მოედანი და სხვ.

ეს საკითხი არაერთხელ იქნა დაყენებული ზემდგომი ორგანოების წინაშე. დავუპირდნენ კიდეც, რომ მიმდინარე სასწავლო წლისათვის გადმოგვეცემოდა ჩაის ტექნიკუმის ყოფილი შენობა, რომელსაც აქვს კარგი საკლასო ოთახები, მიწის ნაკვეთი, დეკორაციული ბაღი, სასპორტო მოედანი და სხვ., მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა და ნარაზენელ მოსწავლეებს კვლავ ძველ შენობაში უხდებათ სწავლა.

საჭიროა ამ საკითხს დროულად მიაქციონ ყურადღება ზემდგომმა ორგანოებმა.

ბ. ბიბვაევა,
მასწავლებელი.

ორი ფესტივალის წინ

მომავალი წლის ზაფხულში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიმართება ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალი, რომლის მომზადებაში მონაწილეობას იღებს ახალგაზრდობის ბევრი ეროვნული ორგანიზაცია.

ამასთან დაკავშირებით მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მზადდება ეროვნული დღესასწაულები. ამ დღესასწაულებზე მონაწილეობისათვის შეარჩევენ ისეთებს, რომლებიც მოსკოვში გგზავრების ღირსნი იქნებიან. მასზე ცოტა ადრე მოსკოვში ჩატარდება პირველი სრულიად საკავშირო ფესტივალი.

ქვემოთ ლაპარაკი გვექნება იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ამ ორი ფესტივალისათვის.

1957 წლის ფესტივალი წინა ფესტივალებთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება. ამას მეტყველებენ ციფრები. მაგალითად, გამოანგარიშებულია, რომ ვარშავის უკანასკნელი ფესტივალის ყველა ღონისძიება რომ ენახა კაცს, 70 წელი მოუნდებოდა, ხოლო მოსკოვში ამას ასი წელი მოუნდება.

ფესტივალის დღეებში განხორციელდება სხვადასხვა სახეობის მრავალი ღონისძიება, მათ შორის ბევრი კოლექტივის გამოსვლა. მაგალითად, არგენტინიდან მოელიან თეატრალური დასისა და მუსიკალური ანსამბლის ჩამოსვლას. მუსიკალური ანსამბლის შემადგენლობაში იქნებიან ხალხური მელოდიების საუკეთესო შემსრულებლები. თავიანთ ოსტატობას გვიჩვენებენ მომღერალთა გუნდები და თეატრალური კოლექტივები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის ეკვადორიდან, ჩილედან, ნეპალიდან და სენეგალიდან. ფესტივალისათვის მზადების მსვლელობაში მექსიკელი ჭაბუკები და ქალაშვილები ჩაატარებენ კონკურსს თანამედროვე ცეკვების საუკეთესო შესრულებაზე. ინგლისიდან ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ თეატრალური და ლიტერატურული ჯგუფების წევრები. დიდი ჯგუფით იქნება წარმოდგენილი ინდონეზიის ახალგაზრდობა, რომელიც ემზადება თავისი მუსიკისა და ცეკვის საუკეთესო ნიმუშების საჩვენებლად.

გამოანგარიშებულია, რომ მოსკოვის ფესტივალზე ჩამოვა სულ მცირე 30 ათასი სტუმარი, მსოფლიოს თითქმის 150 ქვეყნის წარმომადგენელი. ბუნებრივია, რომ ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მომავალი მსოფლიო დღესასწაულის ფართო მასშტაბი დიდ და საგულდაგულოდ მომზადებას მოითხოვს. ფესტივალისათვის მზადების მხრივ ერთგვარი ნაბიჯები უკვე გადადგმულია მოსკოვში. უპირველეს ყოვლისა შემუშავებულია ყველა ორგანიზაციული ღონისძიების გეგმა.

სტუმრების მიღება დაიწყება ჯერ კიდევ საზღვარზე. მარტო იმას, რომ დღესასწაულის ყველა მონაწილე საზღვრიდან გადმოყვანილ იქნას მოსკოვამდე, დაახლოებით 80 სარკინიგზო შემადგენლობა მოუნდება. ბევრი დელეგაცია ჩამოვა საზღვაო გზით — ლენინგრადითა და ოდესით, ზოგიც საჰაერო გზით — თვითმფრინავებით.

ამას უნდა დავძინოთ, რომ მოსკოვში ფესტივალზე ჩამოვა უცხოეთის გაზეთებისა და საგენტოების ათასზე მეტი კორესპონდენტი და ასი კინოჭრონიკიორი. მოელიან აგრეთვე მრავალ ტურისტს როგორც უცხოეთიდან, ისე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

გათვალისწინებულია ისიც, რომ უცხოეთის ამდენი დელეგაციების მომსახურებას დასჭირდება ბევრი თარჯიმანი (დაახლოებით 3.000-მდე) და ექსკურსიამძღოლი.

მეტად საინტერესოა ფესტივალის პროგრამა, რომელიც უკვე დამტკიცებულია. მასში შეტანილია ახალგაზრდობის მრავალფეროვანი შეხვედრები (მათ შორის პროფესიების მიხედვით), სამხატვრო კონკურსები, წყალჯომარდობის დღესასწაული, ახალგაზრდობის კარნავალი. სტუდენტებისათვის კვლავ მოეწყობა სემინარები ლიტერატურაში, კინემატოგრაფიაში და სხვ.

1957 წლის ფესტივალისათვის ეწყობა სტუდენტთა საერთაშორისო კლუბი, რომელიც გამართავს დისკუსიებსა და დისპუტებს. ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულია მოეწყოს სიმღერის საღამოები, საერთაშორისო კონცერტები, საუნივერსიტეტო ტრადიციის საღამო, ახალგაზრდა შემსრულებლთა კონკურსები, კონკურსი საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოების შექმნაზე, მხატვრული ფოტოგრაფიის კონკურსი, კინოფესტივალი და ა. შ.

ფესტივალის სამხატვრო ნაწილისათვის გამოყოფილი იქნება თხუთმეტი თეატრის შენობა, შვიდი საკონცერტო დარბაზი, ცხრამეტი კლუბი, აგრეთვე მრავალი ღია მოედანი, პარკი და სხვ.

იშვიათად მრავალფეროვანი იქნება ფესტივალის სასპორტო პროგრამა. უკვე მეგობრულ შეჯიბრებებში ერთმანეთს შეხვდებიან მუშათა და სტუდენტთა კლუბების სპორტსმენები. გარდა ამისა, თვითეულ მსურველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღია შეჯიბრებებში, ჩააბაროს ნორმები ფესტივალის სასპორტო ნიშნის მისაღებად. მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები ნახავენ მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა შეხვედრებს. საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით ფესტივალის დროს ჩატარდება საერთაშორისო მეგობრული შეჯიბრება მამაკაცებისათვის — 24 სახეობის და ქალებისათვის — 15 სახეობის სპორტში.

მოსკოვის მეეყვანილეები ემზადებიან იმისათვის, რომ მომავალ წელს ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მსოფლიო ფესტივალის სტუმრებს მიართვან 300 ათასი თაიგული. ამ დიდი საქმისათვის მზადება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო. დედაქალაქის პარკებში, სახლმმართველობების საეზო ნაკვეთებზე, მოსკოვის საუკეთესო მეურნეობებში, მოსწავლე მეეკვალეობის, მოყვარულ-სელექციონერების ნაკვეთებზე უკვე დარგულია და იარგება 2 მილიონი ყვავილის ძირი, ბოლქვი და ჩითილი.

ამ ცოტა ხნის წინათ ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის ძველ „არბატის“ სადგურთან მოეწყო ყვავილების ტრადიციული საშემოდგომო გამოფენა. აქ ნახავდით, თუ რა და რა ყვავილისაგან მომზადდება თაიგულები სტუმრებისათვის, ყვავილთა პალიტრის მრავალფეროვნებას. გამოფენილი იყო ფლოქსების უზარმაზარი თაიგულები, შერჩეული სხვადასხვა ელფერის ყვავილებისაგან, წულის თეთრი შროშანები, ვარდებისა და ბალის სხვა მცენარეების საინტერესო კოლექცია (გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკიდან), მიხაკის შესანიშნავი თაიგულები (მოსკოვის ყვავილების 1-ლი კომბინატიდან), იზმაილოვის კომბინატის მრავალფეროვანი ყვავილები.

ყოველივე ეს მზადდება ფესტივალის მონაწილეებისათვის — მოსკოვის სტუმრებისათვის, რომლებიც მომავალი წლის ზაფხულში ჩამოვლენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე უკვე დაიწყო საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალი, რომელიც დამთავრდება მოსკოვში 1957 წლის მაისის ბოლოს. საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალის მომზადებისა და ჩატარების ცენტრალურმა საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა სრულიად საკავშირო ფესტივალის დასკვნითი ნაწილის მონაწილეთა შემადგენლობა 8 ათასი კაცის რაოდენობით.

საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა ფესტივალის დასკვნითი დღესასწაულის პროგრამა. განზრახულია მოეწყოს მთელი რიგი მახარობელი ღონისძიებები. ფესტივალის გახსნის დღესასწაული მოეწყობა ლენინის სახელობის სტადიონზე ლუჟნიკში, შრომისა და მეგობრობის დღესასწაული — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის ტერიტორიაზე, სასპორტო-საჰაერო დღესასწაული — ტუშინოში, წყალჯომარდობის დღესასწაული-კარნავალი ქ. ლენინგრადი მოსკოვზე, კარნავალები მოეწყობა მოსკოვის პარკებშიც და, ბოლოს, ფესტივალის საზეიმო დახურვა მოხდება ლუჟნიკში.

საკავშირო ფესტივალის დღეებში მოსკოვში გაიხსნება სახვითი, გამოყენებითი ხელოვნების და მხატვრული ფოტოგრაფიის კონკურსებში გამარჯვებულთა ნაწარმოებების გამოფენა. მოეწყობა მოკავშირე რესპუბლიკების ახალგაზრდობის დელეგაციების შეხვედრები, აგრეთვე ფილატელისტების, ფოტომოყვარულების, ავიამოდელისტების, თევზჭერის მოყვარულების, რადიომოყვარულების შეხვედრები,

დამტკიცებულია სრულიად საკავშირო ფესტივალის რეჟისორთა და დამდგმელ-მხატვართა ჯგუფის შემადგენლობა. რეჟისორთა ჯგუფს მეთაურობს ი. თუმანოვი—პუშკინის სახელობის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, დამდგმელ-მხატვართა ჯგუფს — ბ. კნობლოკი — ცენტრალური სამხატვრო თეატრის მთავარი მხატვარი.

ცენტრალური საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით მხატვრული საგიტაციო ბრიგადები ებმებიან სრულიად საკავშირო ფესტივალის კონკურსში. დადგენილია, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამხატვრო-საგიტაციო ბრიგადებს მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებისა და მხატვრობების შემადგენლობით. თვითეული მონაწილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 32 წელს. კონკურსში საგიტაციო ბრიგადის გამოსვლის პროგრამაში შეტანილ უნდა იქნას საგიტაციო ბრიგადის მონაწილეების, აგრეთვე კომპოზიტორებისა და მწერლების მიერ შექმნილი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები. დამტკიცებულია საუკეთესო სამხატვრო-საგიტაციო კულტბრიგადაზე სრულიად საკავშირო კონკურსის ეიური 15 კაცის შემადგენლობით. ეიურის თავმჯდომარეა საკავშირო პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუყოფილების გამგე ე. ივანოვი.

დამტკიცებულია ახალგაზრდობის მსოფლიო და სრულიად საკავშირო ფესტივალების ნიშნების პროექტები.

მოსკოვში მოდის ცნობები, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩადდება მზადება ფესტივალისათვის. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ყველგან უკეთ მოეწყოს ახალგაზრდობის დასვენება, მთელი მასობრივ-კულტურული მუშაობა, ხელი შეეწყოს თვითმოქმედ ხელოვნებას.

რომელ ქვეყანაშიც უნდა იკრიბებოდეს მსოფლიოს ახალგაზრდობა თავის ფესტივალზე, ტრადიციად იქცა ასეთი დღესასწაულების დროს მტრ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

8 ოქტომბრის დღის სხდომა

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭოში, რომელიც სუეცის საკითხს განიხილავს, დილის სხდომაზე გამოვიდნენ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ფავზი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი.

ეგვიპტის წარმომადგენელმა თავის სიტყვაში ცხადყო, რომ დასავლეთის ქვეყნები შეგნებულად რევენ ერთმანეთში სუეცის არხი ნაოსნობის თავისუფლების საკითხსა და არხის მართვის საკითხს. სუეცის არხის კომპანია ყოველთვის მიჩნეული იყო ეგვიპტის კომპანიად და ეგვიპტის სუვერენიტეტი სუეცისადმი საეჭვო არ გამხდარა.

მ. ფავზიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტეს არასოდეს არ დაურღვევია კონსტანტინოპოლის 1888 წლის კონვენცია და კვლავაც განზრახული აქვს უზრუნველყოს არხში ნოსნობის თავისუფლება ყველა მშვიდობიანი ნავიგაციისათვის. დ. ტ. შეპილოვმა დაახასიათა ზოგიერთი საერთო პრინციპები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დადოს საერთაშორისო შეთანხმებას სუეცის საკითხზე. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თქვა დ. ტ. შეპილოვმა, შეიქმნას უშიშროების საბჭოს ავტორიტეტული კომიტეტი ასეთი მოლაპარაკებისათვის, მაგალითად, ეგვიპტის, ინგლისის, ინდოეთის, საფრანგეთის, სსრ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობით. თავისთავად იგულისხმება, ჩვენ არ ვიბრძვით კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ზუსტად იქნეს დაცული კომიტეტის სწორედ ასეთი რიცხობრივი შემადგენლობა, თუმცა იგი საეჭვოსად მიგვაჩნია. შეიძლება კომიტეტი იყოს, მაგალითად, რვა ქვეყნის შემადგენლობით, ესე იგი ზემოთ ჩამოთვლილი შემადგენლობა პლუს, მაგალითად, იუგოსლავია და ირანი ან ინდოეთი და შვეიცარია. ამასთან უნიშვნელოვანეს პირობად მიგვაჩნია კომიტეტის დაბალანსებული, შეთანასწორებული შემადგენლობა, რათა კომიტეტში წინასწარ არ ჰქონდეს უპირატესობა რომელიმე თვალსაზრისს. მხოლოდ ასეთი პირობებით შეიძლება მოლაპარაკება წარმოებულ იქნას თანასწორუფლებიან საფუძველზე სრულიად უდისკრიმინაციოდ შეთანხმებული გადაწყვეტილების გამოსანახავად. კომიტეტი მოვალეა დაწესებულ ვადაში მოახსენოს უშიშროების საბჭოს, თუ რა შედეგები მოჰყვა მოლაპარაკებას სუეცის საკითხის მოწესრიგებისათვის მისაღები საფუძვლის გამონახვისა და შეთანხმების მიღწევის შესახებ.

შეიძლება კომიტეტს დაევალოს აგრეთვე შეიმუშაოს სუეცის არხში ნოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ ახალი კონვენციის პროექტი ნაცვლად 1888 წლის კონვენციისა. ახალი კონვენცია გათვალისწინებდა დროის სულისკვეთებას, ეგვიპტის სამართლიან ინტერესებს და არხით მოსარგებლეთა ინტერესებს.

შეიძლება ამავე კომიტეტს დაეკისროს მომზადება ფართო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისა სუეცის არხით მოსარგებლე ყველა ქვეყნის მონაწილეობით. ეს კონფერენცია განიხილავდა და დაამტკიცებდა ახალ კონვენციას, რომელიც უზრუნველყოფს სუეცის არხში ნოსნობის თავისუფლებას.

ახლა, როცა სუეცის პრობლემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგში დადისვა, ჩვენ ყველამ გულწრფელი ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოთ ჩვენთვის დაკისრებული ამოცანა. ამ ამოცანის დადებითი გადაწყვეტა უშიშროების საბჭოში ხელს შეუწყობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟისა და ავტორიტეტის განმტკიცებას მთელი მსოფლიოს ხალხთა საზოგადოებრივ აზრში.

ყველა კონტინენტის მრავალ ასეულ მილიონობით ადამიანისათვის უაღრესად საარსებო მნიშვნელობის პრობლემაა მშვიდობის პრობლემა. სუეცის საკითხის დადებითი გადაჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხელს შეუწყობდა არა მარტო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში, არამედ ყველა ქვეყნის საარსებო ინტერესების, მათ შორის ინგლისისა და საფრანგეთის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისიც იქნებოდა.

საბჭოთა კავშირის მთავრობას ამედი აქვს, ხაზგასმით აღნიშნა დ. ტ. შეპილოვმა, რომ უშიშროების საბჭო მის წინაშე მდგომი დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანის სიმაღლეზე აღმოჩნდება. დაე ამ ამოცანის დადებითმა გადაწყვეტამ დაანახვოს მთელ კაცობრიობას მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის, ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემისა და ხალხთა თანასწორობის იდეების დიდი ცხოველმყოფელი ძალა.

8 ოქტომბრის დღის სხდომა

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანგული პრესაში გამოქვეყნებულია მშვიდობის ეროვნული საბჭოს განცხადება საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. მშვიდობის ეროვნული საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „იმუქრება რა ძალის გამოყენებას და მიდის რა ომის რისკზე სუეცის საკითხში, საფრანგეთის მთავრობამ საფრანგეთი მიიყვანა იზოლაციამდე, შეასუსტა მისი პრესტიჟი და ძირი გამოუთხარა მის პოზიციებს დედამიწის ამ რაიონში“.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა გამოონახოს „სუეცის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა, რომელიც უზრუნველყოფს არხში ნოსნობის თავისუფლებას და საფუძვლად ექნება ეგვიპტის სუვერენული უფლებების პატივისცემა. საფრანგეთის ინტერესები მოითხოვენ, რომ იგი შეუერთდეს ყველა იმ სახელმწიფოს ღონისძიებებს, რომლებიც მოითხოვენ სუეცის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას“.

მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ მოუწოდა ყველა ფრანგს, რომლებსაც ეფიქრებს თავიანთი სამშობლოს მომავალი, გაეერთიანონ ღონისძიებანი ალეირისა და სუეცის საკითხების სამართლიანი გადაჭრისათვის სპარძოლველად, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ სპარძოლველად.

ჯოუ ენ-ლაის განცხადება იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის შესახებ

პეკინი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი ასოციაციის თავმჯდომარემ სიოძო მურატამ და იაპონიის საგამოფენო ჯგუფის ხელმძღვანელმა ეიიცი სიუკუტანიმ პეკინში მოაწყეს დარბაზობა იმის გამო, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში გაიხსნა იაპონიის საქონლის გამოფენა. დარბაზობაზე იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, რომელსაც საუბარი ჰქონდა ჩინეთში მყოფ იაპონიის დელეგაციის წევრებთან, აგრეთვე იაპონელ ჟურნალისტებთან. საუბარში იგი შეეხო იაპონია-ჩინეთის ურთიერთობას.

სინხუას სააგენტო იუწყება, კერძოდ, რომ იაპონელი კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა ღონისძიებებს მიიღებს ჩინეთი, რომ აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა იაპონიასთან იაპონია-საბჭოთა კავშირის მომავალი მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, ჯოუ ენ-ლაიმ უპასუხა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის საბოლოო ანგარიშით უნდა განახლდეს და რომ ჩინეთმა და იაპონიამ უნდა მიიღონ წინასწარი ღონისძიებანი ამ მიმართულებით. სიძნელეები ამ მხრივ, თქვა მან, ამყამად გვაქვდება იაპონიის, და არა ჩინეთის მხრივ. აღნიშნა რა, რომ ჩინეთს ყოველთვის ჰქონდა იმედი, რომ მალე აღსდგებოდა დიპლომატიური ურთიერთობა იაპონიასთან, ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ ჩინეთის მხარე მზად არის მოიცადოს, ითვალისწინებს რა იმ სიძნელეებს, რომლებსაც აწყდება ამ საკითხში იაპონიის მხარე.

ის ფაქტი, აღნიშნა ჯოუ ენ-ლაიმ, რომ იაპონიის საქონლის გამოფენამ პეკინში უკვე მიიპყრო ჩინეთის მრავალი ადამიანის ყურადღება, მოწმობს, რომ ჩინელ ხალხს აინტერესებს იაპონიის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარება. ის, რომ ამ დარბაზობას ესწრება 200-ზე მეტი იაპონელი მეგობარი, განაგრძო მან, აგრეთვე ნიშნავს, რომ იაპონელ ხალხს სურს მხარი დაუჭიროს კარგ ურთიერთობას ჩინელ ხალხთან. ჯოუ ენ-ლაიმ იმედი გამოთქვა, რომ ჩინეთი და იაპონია განამტკიცებენ თავიანთ ურთიერთობას მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე.

ეგვიპტის პრეზიდენტმა გამაღ აბდელ ნასერმა მიიღო საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია

კაირო, 9 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ეგვიპტის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა მიიღო აქ მყოფი საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დ. რასულოვი.

მიღებას დაესწრო ეგვიპტის სოფლის მეურნეობის მინისტრი აბდელ რაზაკ სიდკი.

საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს განცხადება

9 ოქტომბრის დღის სხდომა

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის ბელენმა მოიმხინა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის კ. ა. ანდრიანოვის მოხსენება საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის შესახებ მელბურნის XVI ოლიმპიურ ასპარეზობაში.

სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გაგზავნოს ავსტრალიაში საბჭოთა სასპორტო დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს XVI ოლიმპიურ ასპარეზობაში — კალთბურთში, კრივში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, წყალბურთში, აკადემიურ და ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში, იალქნიან სპორტში, ტყვიისა და სასტენდო სროლაში, თანამედროვე ხუთჭიდში, ძალოსნობაში, ფარიკაობასა და ფეხბურთში.

ოლიმპიურმა კომიტეტმა განიხილა XVI ოლიმპიური ასპარეზობისათვის საბჭოთა სპორტსმენების მზადების საკითხები.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საბჭოთა სპორტსმენების 1957 წლის საერთაშორისო სპორტული ურთიერთობის გეგმის პროექტი.

პლენუმმა განიხილა ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ი. ა. ზუბკოვის მოხსენება მოსკოვში 1957 წლის ახალგაზრდობის III საერთაშორისო მეგობრული სასპორტო ასპარეზობის მოწყობის შესახებ. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრებას მოაწყობენ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი და სრულიად საკავშირო სასპორტო სექციები მოსკოვში 1957 წლის 29 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

ახალგაზრდობის III საერთაშორისო მეგობრული სპორტული ასპარეზობის მოსამზადებლად და მოსაწყობად შეიქმნა სპორგანიზაციო კომიტეტი.

ოლიმპიურმა კომიტეტმა ყველა განხილული საკითხის შესახებ სათანადო გადაწყვეტილებანი მიიღო.

ალიოხინის ხსოვნის ტურნირი

9 ოქტომბარს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ჭადრაკის მრავალ მოყვარული ესწრებოდა ა. ალიოხინის ხსოვნის აღსანიშნავი საჭადრაკო ტურნირის პირველ ტურს. კენჭისყრის შედეგად მოჭადრაკეებმა ასეთი ნომერაცია მიიღეს: 1 — ნაიდორფი, 2 — უნციკერი, 3 — ტაიმანოვი, 4 — სლივა, 5 — შტალბერგი, 6 — გლიგორიჩი, 7 — ბოტვინიკი, 8 — ულმანი, 9 — კერესი, 10 — გოლომბეკი, 11 — სმისლოვი, 12 — ჩოკოლტია, 13 — პახმანი, 14 — ბრონშტეინი, 15 — პადევსკი, 16 — სბო.

პირველ ტურში რვა პარტიიდან დამთავრდა ექვსი. მოფლიოს ჩემპიონმა ბოტვინიკმა 45-ე სვლაზე დაამარცხა გოლომბეკი. ამდენივე სვლის შემდეგ შტალბერგმა მოუგო ჩოკოლტიას. ტაიმანოვმა გაიმარჯვა ბრონშტეინთან შეხვედრაში, პახმანმა მოუგო სლივას. უნციკერ-პადევსკისა და გლიგორიჩ-სმისლოვის პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი 2 პარტია გადაიდო.

შეიქმნა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საპარლამენტო ჯგუფი

მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის კრება, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატებს შორის საპარლამენტო კავშირურთიერთობის გაფართოების საკითხები საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის განვითარების ინტერესებისათვის.

კრების ყველა მონაწილემ გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ შეიქმნა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ჯგუფები საფრანგეთის პარლამენტის ეროვნულ კრებასა და რესპუბლიკის საბჭოში.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფთან საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საპარლამენტო ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში ამჟამად შევიდნენ:

კავშირის საბჭოს დეპუტატები — ვ. გ. ბლაჟენოვი, ა. ვ. ბორისოვი, ვ. ლ. ვასილევსკაია, გ. ი. ვორონოვი, ა. ა. ლებედევი, ზ. ა. ლებედევი, ა. კ. ტარასოვა, ი. გ. ერენბურგი;

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები — ა. ე. არბუზოვი, მ. ა. გედვილასი, ს. ა. გერასიმოვი, ა. თ. გორკინი, ლ. — ფ. ა. ილსონი, ი. ა. კაიროვი;

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — ა. მ. გერასიმოვი, დ. დ. შოსტაკოვიჩი.

კრებამ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი ი. ა. კაიროვი — რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ჯგუფის კრების მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს ამავე წელს მოსკოვში ან პარიზში მოაწყონ შეხვედრა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენლებთან ჩვენი ქვეყნების პარლამენტების საქმიანობის ურთიერთგაცნობისათვის, საბჭოთა და ფრანგი ხალხების მეგობრობის განმტკიცების ხელშეწყობისათვის.

მოსკოვიდან გაემგზავრა ინდონეზიის საპარლამენტო დელეგაცია

საბჭოთა კავშირში სამი კვირის ყოფნის შემდეგ 9 ოქტომბერს დილით მოსკოვიდან თვითფრინავით გარშავაში გაემგზავრა ინდონეზიის საპარლამენტო დელეგაცია, რომელიც სტუმრად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

ვნუკოვოს აეროპორტში, რომელიც მორთული იყო ინდონეზიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაციის გასაცილებლად შეიკრიბა მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

გაცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. კოდიცა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და სხვა ოფიციალური პირები.

დელეგაცია გააცილეს ინდონეზიის რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ბ-ნმა რ. ამრანმა, მოსკოვში ინდონეზიის საელჩოს თანამშრომლებმა, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის საელჩოების წარმომადგენლებმა.

ინდონეზიის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ბ-ნმა ჰარდიმ სიტყვა წარმოთქვა მიკროფონთან. მიმართა რა დამსწრეთ, მან თქვა:

— დღეს ჩვენ გემშვიდობებით. ძნელია გამოვთქვათ სიტყვები ჩვენი გრძნობების გამოსათქმელად. დიდ მადლობას გიძღვნით იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც სსრ კავშირში გაგვიწიეთ. მადლობა საბჭოთა ხელმძღვანელებს და მთელ საბჭოთა ხალხს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მოგვეცეა გავეცნობიდით თქვენი ქვეყნის ცხოვრებას.

ჩვენი მოგზაურობა სსრ კავშირში მეტად წარმატებითი იყო, — განაგრძო ბ-ნმა ჰარდიმ. — ეს წარმატება უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატება, რომ დელეგაციის აქ ყოფნამ კიდევ უფრო განამტკიცა ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის კავშირი. მეორე, ჩვენ ძვირფასი მასალები შევაგროვეთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის საკითხებზე, კულტურულ და სოციალურ ღონისძიებებზე საბჭოთა კავშირში. ეს მასალები მეტად სასარგებლო იქნება ჩვენთვის ინდონეზიაში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სამუდამოდ დაგვრჩება მოგონებანი სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ხალხი შემოქმედებითს შრომას ეწევა, ასრულებს მეექვსე ხუთწლიან გეგმას. ჯანმრთელობას ვუსურვებთ საბჭოთა ხელმძღვანელებს, მთელ საბჭოთა ხალხს, რათა კიდევ უფრო დიდი წარმატებანი მოიპოვონ ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

კიდევ გმადლობთ! — განაცხადა დასასრულ დელეგაციის მეთაურმა შეკრებილთა ტაშის გრიალში.

გამცილებელნი გულითადად გამოეთხოვნენ ინდონეზიელ მეგობრებს და ბედნიერი მგზავრობა უსურვეს მათ. (საკდესი).

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმი

ამას წინათ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის კ. ა. ანდრიანოვის მოხსენება საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის შესახებ მელბურნის XVI ოლიმპიურ ასპარეზობაში.

სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გაგზავნოს ავსტრალიაში საბჭოთა სასპორტო დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს XVI ოლიმპიურ ასპარეზობაში — კალათბურთში, კრივში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, წყალბურთში, აკადემიურ და ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში, იალქნიან სპორტში, ტყვიისა და სასტენდო სროლაში, თანამედროვე ხუთჭიდში, ძალოსნობაში, ფარიკაობასა და ფეხბურთში.

ოლიმპიურმა კომიტეტმა განიხილა XVI ოლიმპიური ასპარეზობისათვის საბჭოთა სპორტსმენების მზადების საკითხები.

სამგზარი. ზემო სამგორის სასიხტემო ხამმართველოს ახალი შენობა.

ფოტო გ. გოგობერიძისა.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

მოსკოვი. 10 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. მატჩი დამთავრდა მოსკოვის „ტორპედოს“ გამარჯვებით — 3:1.

კიევი. 10 ოქტომბერი. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა კოლექტივმა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების უკანასკნელისწინა მატჩი გამართა კიევში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

საქართველოს მოჭიდავეთა გამარჯვება

თბილისს „პიშჩევიკის“ სასპორტო დარბაზში დამთავრდა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში ამავე საზოგადოების ცენტრალური საბჭოს 1956 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 37 სპორტსმენმა. სამი დღის ბრძოლის შედეგად ჩემპიონები გახდნენ: უმჩატეს წონაში — ე. ეგაძე (თბილისი), მჩატე წონაში — უ. ძებისაშვილი (თბილისი), ქვემსუბუქ წონაში — დ. ცისკარიშვილი (თბილისი), მსუბუქ წონაში — ე. რევია (თბილისი), ქვესაშუალო წონაში — ე. სკვირსკი (დონის როსტოვი), საშუალო წონაში — გ. ნოზაძე (თბილისი), ქვეძმიმე წონაში — დ. დავლიანიძე (თბილისი), მძიმე წონაში — ი. შუმეევი (დონის როსტოვი).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივი. მეორე ადგილი დაიკავა დონის როსტოვის გუნდმა, მესამე — დაღისტნის სსსრ გუნდმა.

მ. ჯიჯინაძე.

ლექციები

12 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტთან არსებული ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის საქმეთა დარბაზში (ლენინის ქუჩა № 35) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს საკავშირო საზოგადოების წევრის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. პ. ნოსენკოს (მოსკოვი) საჯარო ლექციას თემაზე: „თანამედროვე ინდოეთი“. ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოსურათი.

• • •

11 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ლექტორიუმში (ლენინის ქუჩა № 35) შედგება ლექცია თემაზე: „სკკპ XX ყრილობა პიროვნების კულტის შედეგების დაძლევის აუცილებლობის შესახებ“. ლექტორი დოცენტი გ. გეგეშიანი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა
12 ოქტომბრისათვის
პირველი და მეორე
პროგრამით
რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — ქართული სიმღერები, 11.00 — მასალები გაზეთ „ნორჩი ლენინელიდან“, 12.15 — ნაწყვეტები დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ოპერებიდან რესპუბლიკის სახალხო არტისტის ე. გოსტენინის შესრულებით, 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა საეთილინო ნაწარმოებები ი. ცხომელიძის შესრულებით, 17.20 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკა, 18.15 — ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა სიმფონიური ნაწარმოებები, 19.20 — კონცერტი ციკლიდან „მუსიკალური ანბანი“, 19.40 — რადიოსადგურებით გადმოცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — კონცერტი ციკლიდან „საბჭოთა კამერული მუსიკა“, 20.30 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“; 20.45 — აზერბაიჯანელების სიმფონიური პოემა „ყვარლის მთები“, 21.00 — საუბარი „სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობა მეექვსე ხუთწლედში“, 21.00 — საქართველოს რადიოს ღია კონცერტის ტრანსლაცია ძერჟინსკის სახელობის კლუბიდან.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე
სამხრეთ ენაზე

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიმოხილვა, 18.15 — უკანასკნელი ცნობები, 18.30 — კონცერტი, 18.40 — საუბარი.

აზერბაიჯანულ ენაზე

20.30 — უკანასკნელი ცნობები, 20.45 — საუბარი.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აბესალომ და ეთერი (სეზონის გახსნა), **რუსთაველის სახელობის** — დონ-სეზარ დე ბაზანი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მეფე ერეკლე, **გრიბოედოვის სახელობის** — პროკურორის ქალიშვილი, **სომხური დრამის** — ნამუსი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ერთი ღამის შეცდომები, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მშვენიერი ვასილისა (10 ს.), **ფილარმონია** — გ. რომანოვის კონცერტი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი იუწყება პარტიის ლენინის რაიკომის მდივნის, საქალაქო პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის
ლევან სერგეიონის-ძე ჭკუასელის
გარდაცვალებას.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის მუშაკები იუწყებიან
ლევან სერგეიონის-ძე ჭკუასელის
გარდაცვალებას.

მეუღლე ნადია, შვილები კაჩო, კონსტანტინე ოჯახებით იუწყებიან
პროკოფი მელიტონის-ძე ყიფიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-X, 7 ს. გამოსვენება 14-X, 3 ს. ზნაითობის ქ. № 2.

მეუღლე ანასტასია, შვილები ციცინო, ვახტანგ, რძალი დარეჯან, სიძე ვ. ხუნწარია იუწყებიან
გრიგოლ პლატონის-ძე ჯაფარიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-X ფოთში, გამოსვენება ბინიდან, კროვის ქ. № 6.

თბილისის საბჭოს აღმასკომის ვეტერანყოფილების თანამშრომლები იუწყებიან
ივანე გიორგის-ძე კაჭარავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-X სოფელ გორაბერეეფოულში (ჩოხატაურის რ.).

დედა ელისაბედ, ძმა გიორგი, დები ცირა, ელენე იუწყებიან
ნიკოლოზ ზაქარიას-ძე ტატინაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-X, 8 ს. გამოსვენება 13-X, 4 ს. ბოჟორიშვილის ქ. № 5.

მეუღლე ჩაფუ, შვილები ვლადიმერ, ტარასი, აკაკი, რძლები ბუეღუ, ნატალია, ქსენია ოჯახებით და ნათესავები იუწყებიან
ჩამა ჯუტუს-ძე გუნჯუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-X სოფელ ნაბაკევში (გალის რ.).

მეუღლე გალინა, შვილები ნადია, ვერა, გიორგი, ილია, რძალი ქეთო, სიძე ვ. სვანიძე ოჯახებით იუწყებიან
ამბაკო გიორგის-ძე სულაქველიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-X, 4 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, თბილისის ქ. № 31.